



MES 5 21 0000244548



17/03/2021

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 09/03/2021

სხდომის დაწყების დრო 13:08 სთ

სხდომის დამთავრების დრო 14:00 სთ

სხდომის თავმჯდომარე - თამარ მამსიკაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

**დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**თამარ თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**თეა სიფრაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;

**ელგუჯა მელაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**ირაკლი ბურდული** - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე (საბჭოს მოქმედების ვადა 2020 წლის 03 თებერვლიდან 2021 წლის 03 თებერვლამდე);

**ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე (საბჭოს მოქმედების ვადა 2021 წლის 17 თებერვლიდან 2022 წლის 17 თებერვლამდე);

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:**

1. კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი;
2. ვახტანგ წივწივაძე - უნივერსიტეტის კანცლერი;
3. მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ლევან მოსახლიშვილი - "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თამარ მამსიკაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28 მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას 5 ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის 7 მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**

. არა

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

**1. პირველი საკითხი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დასახელება	სამართალი 0421
4	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
5	სწავლების ენა	ქართული
6	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
7	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	02/02/2021

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაგილება

. არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ საბჭოზე განხილული იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ორი პროგრამა, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურის. სამართლის საბაკალავრო პროგრამას საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭა სრული აკრედიტაცია, ანგარიშის წარმოდგენით, ხოლო სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, გამომდინარე, იქიდან, რომ საბჭოს მიერ მოხდა გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება და დამატება. თუმცა, მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ მე-2 სტანდარტი, რომლის შეფასებაც ზეპირი მოსმენის დროს საბჭომ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, გადაწყვეტილების გაფორმების დროს განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, რამაც შემდგომ გამოიწვია საბჭოს მიერ მოცემული გადაწყვეტილების მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ, გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში არ განხორციელებულა ცვლილებების შეტანა. შესაბამისად უნდა მოხდეს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული გადაწყვეტილების გაუქმება, რაც იწვევს საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის

დაბრუნებას ხელახალი განხილვის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში არ დგას აუცილებლობა პროგრამის შინაარსობრივი საკითხების განხილვა, რადგან დარღვეულია ფორმალური ნაწილი.

### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა თავისი პოზიცია.**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ სამართლის როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამას შეისწავლიდა ექსპერტთა ჯგუფის ერთი და იმავე შემადგენლობა, შესაბამისად პროგრამების განხილვა განხორციელდა ერთდროულად. ექსპერტთა მიერ ორივე პროგრამაზე შემუშავებულ დასკვნაში, შეფასებები სტანდარტებთან მიმართებით იყო სრულიად იდენტური, მხოლოდ მე-4 სტანდარტი იყო განსაზღვრული როგორც მეტწილად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო ყველა დანარჩენი სტანდარტი განისაზღვრა, როგორც სრულიად შესაბამისი. მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისი იყო ექსპერტთა მიერ განსაზღვრული 2 რეკომენდაციის გამო. დასკვნის მიხედვით არ იკვეთებოდა პრობლემები პროფესურასთან დაკავშირებით. ორი რეკომენდაციიდან ერთ-ერთი ეხებოდა აკადემიური პერსონალის რანჟირების საკითხს, რომლიც უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული იქნა 2018 წელს, აღნიშნული გულისხმობს პროფესურის წახალისების მექანიზმებს. ხოლო მეორე რეკომენდაცია გულისხმობდა თანხების გაზრდას, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნებისთვის. აკრედიტაციის საბჭოზე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარდგენილი იქნა 2021 წლის ბიუჯეტიც, სადაც პროფესიული განვითარების კუთხით თანხები იყო გაორმაგებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოზე დეტალურად იქნა განხილული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სილაბუსები. საბჭოს მიმდინარეობისას დასახელებული იყო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთა სახელები და გვარები, რომლებიც იმ მომენტისთვის არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომას, შესაბამისად არ ჰქონდათ საშუალება გაეცათ პასუხები საბჭოზე წარმოთქმული კითხვებისთვის. აღნიშნულ სხდომაზე დაწესებულების პროფესორების მიმართ გამოთქმული იყო საკმაოდ კრიტიკული მოსაზრებები. კერძოდ, ის, რომ სამართლის ფილოსოფიის სასწავლო კურსის შემუშავებისას არ იყო გათვალისწინებული ღირებულებები და მორალის შესახებ საკითხები, მაშინ როცა მოცემულ თემებს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები სწავლობენ სამართლებრივი ეთიკის სასწავლო კურსის ფარგლებში.

ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა სილაბუსში საკითხების გადაფარვასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში საბჭოს თავმჯდომარის რჩევაზე, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ საგნის სილაბუსში მითითებული იქნებოდა გვერდები. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო საფეხურის პროფესორს კანონმდებლობის მიხედვით არ აქვს ვალდებულება აუცილებლად მიუთითოს გვერდები სილაბუსში. შესაბამისად იმაზე მითითება, რომ გვერდების არსებობის შემთხვევაში მოხდება გადაფარვის საკითხების უკეთ განხილვა და განსჯა არ არის რელევანტური. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სილაბუსი არის პროფესორის ინტელექტუალური ნაშრომი, შესაბამისად მათ მიმართ არსებულ კითხვებს ნებისმიერი პროფესორი თავისუფლად უპასუხებდა, თუ მათ ექნებოდათ ამის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დასახელებული იყო აკადემიური პერსონალი გვარების მიხედვით, რომლიც მიმართავ საბჭოს წევრებს ჰქონდათ შენიშვნები. ასევე ნახსენები იყო, რომ ერთ-ერთმა აკადემიურმა პერსონალმა

გადაწერა ირაკლი ბურდულის 2008 წლის სილაბუსი, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ აღთქმული იყო როგორც დაუსაბუთებელი ბრალდება და განაცხადეს, რომ არ შეესაბამებოდა რეალობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მსვლელობისას, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით დაწესებულებას არანაირი პრობლემა არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე გაცემული იყო ოთხი რეკომენდაცია. თუ საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით არ არსებობს არანაირი პრობლემა, მაშინ რის საფუძველზე განისაზღვრა რეკომენდაციები სისხლის სამართალთან დაკავშირებით. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ასევე არა ერთი შენიშვნა გაჟღერდა კერძო სამართლის მიმართულებით, თუმცა არც ერთი რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხს არ ეხებოდა.

რაც შეეხება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო კურსი (2.3 კომპონენტი) აკრედიტაციის მე-2 სტანდარტში შედის და საბჭოს წევრებსაც ძირითადად სილაბუსებთან დაკავშირებით ჰქონდათ შენიშვნები, მე-2 სტანდარტი, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამაში განისაზღვრა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, მაგრამ მაშინ როცა როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს ერთი და იმავე აკადემიური პერსონალი, მე-4 სტანდარტი განისაზღვრა როგორც სრულიად შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე დარჩა კვლავ როგორც მეტწილად შესაბამისობაში.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასევე განაცხადა, რომ იქიდან გამომდინარე რომ იგი არ არის პროფესიით იურისტი, არ არის ვალდებული იცოდეს იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული იქნა სამართალწარმოების შესახებ კანონი. აღნიშნულთან მიმართებით პასუხისმგებელია მხოლოდ სილაბუსის ავტორი და პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ სახეზეა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები. აღსანიშნავია, რომ ოქმში მითითებული და საბჭოზე გამოთქმული მოსაზრებები სრულიად შეუსაბამოა ერთმანეთთან. მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს ის, რომ აუცილებელია ლიტერატურის განახლება და თემატიკის გადახედვა. აღსანიშნავია ასევე, რომ საბჭო სრულიად შეიჭრა პროფესორთა აკადემიურ თავისუფლებაში. საბჭოს გადაწყვეტილებაში მოცემული იყო სრულიად შეუსაბამო ფორმულირებები, გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა აკრედიტაციის სტანდარტებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საბჭოზე განხილული იყო ისეთი სასწავლო კურსის სილაბუსი - „შედარებითი საკორპორაციო სამართალი, რომელიც საერთოდ არ იყო მოცემული პროგრამის ფარგლებში. ოქმში აღნიშნული ჩანაწერი არ იკითხება, თუმცა მოცემულია დაწესებულების პასუხის იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო კურსი არ არის გათვალისწინებული პროგრამით. მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად ეწინააღმდეგება აკრედიტაციის დებულების 26-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს. პროგრამას პირობითი აკრედიტაცია ენიჭება მხოლოდ მაშინ, როცა ერთი სტანდარტი მაინც განსაზღვრული როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს მანდატიდან გამომდინარე, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის დაბრუნების თაობაზე. შესაბამისად, შინაარსობრივი მსჯელობა მანდატიდან გამომდინარე, აზრმოკლებულია. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის მიხედვით ცალსახაა რომ დარღვეულია აკრედიტაციის დებულებით დადგენილი პროცედურული საკითხები.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ სრულიად გაიზიარა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია საკითხთან მიმართებით, შესაბამისად მისი აზრით აუცილებელია საკითხი დაუბრუნდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს განსახილველად.

აკრედიტაციის საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესო იყო პროცესზე დასწრება. განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო საკითხები, რომელიც წამოჭრილი იყო საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან, ასევე აკადემიური პერსონალის ჩართულობის საკითხი, ის , რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი არგუმენტირებული პოზიცია, საბჭოზე წარმოთქმული საკითხების მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამას ამოწმებდა საკმაოდ კვალიფიციური ექსპერტთა ჯგუფი. იყო მოწოდება ერთ-ერთ ექსპერტთა, რომს რადგან იგი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით იყო სპეციალისტი უნდა დათანხმებოდა საბჭოს შენიშვნებს კერძო სამართლის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. თუმცა ასე არ მოდა, რადგან ექსპერტთა მიერ განსაზღვრული არც ერთი რეკომენდაცია არ ეხებოდა კერძო სამართლის მიმართულებას. აღსანიშნავია, რომ როგორც ცენტრი ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები დიდი ნდობას უცხადებენ ექსპერტთა ჯგუფს, შესაბამისად, მათი დასკვნის ამგვარად განხილვა საბჭოს მიერ არ არის მისაღები. დაწესებულების წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებასთან მიმართებით არ იკვეთებოდა ტექნიკური შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს და მიმართა საბჭოს წევრებს, რომ თუ კითხვები არ აქვთ შესაძლებელია გავიდნენ საათათბიროდ.

**სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 13:50 საათზე.**

**სხდომა განახლდა 13:57 საათზე.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები**

**მომხრე - 7**

**წინააღმდეგი - 0**

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს.

## გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

14:00საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
თავმჯდომარის მოადგილე  
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

